საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
თბილისის სააღსრულებო ბიურო

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–10 კმ. ტელ: +(995 32) 274 96 49; ელ.ფოსტა: nbe@nbe.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge

A16008748

კოდი:6201674431

A16008748-004/003
29.01.2016

მოვალე(ე

იზა კაზა -ბაგები (20522

მის: თბილისი, წყნეთის გზ 37ა / თბილისი, ალ. ყაზბეგის N24, მე-11 სართ., ბინ.

თამარ პაიკიძე (0100700

მის: თბილისი, აკაკი წერეთელის გამზირი, კორპუსი 13, ბი

მალხაზ ჩემია (0100800

მის: თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24

გურანდა გულიკაშვილი (0102406

მის: თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 11 ბ. 48 / თბილისი, ბალანჩივაძის ქ. N5, ბინ

მანანა ძველიშვილი (0100800

მის: თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24ბ

ნინო წულაია (0102601

მის: თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20

ირინე ჭელიძე (0101700

მის: თბილისი შ.რუსთაველის გამ

ვახტანგ თაქთაქიშვილი (0100802

მის: თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 41 ბ. 24 / თბილისი, ნ. ფიანიას N10, ბინ

მარტის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება არის თვალთმაქცური და წარმოადგენს
რომან გუნდაძის მიდელობას მოტყუებით დაეუფლოს ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთის.
საქმეზე მოწმის სახით გამოკითხულმა მალხაზ ჩებიამ დაადასტურა მის მიერ
განცხადებაში მითითებული გარემოება და აღნიშნა, რომ ბადრი ჭელიძესა და რომან
გუნდაძეს შორის დადებულია თვალთმაქცური გარიგება, რაც მიმართულია ქონების
თაღლითურად დაუფლებისაკენ. ზემოთ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებისათვის
2010 წლის 07 აპრილის განაჩენით, ბადრი ჭელიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე
მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მისჯილ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.
2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მან
სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა 2013 წელს. 2017 წლის 15 თებერვალს ბადრი
ჭელიძემ განცხადებით მიმართა პროკურატურას, სადაც იგი უთითებს, რომ დანაშაული
ჩაიდინა რომან გუნდაძესთან ერთად და ეს უკანასკნელი თანამონაწილეა იმა
„კაზაბაგების“ ქონების თაღლითურად დაუფლებაში. საქართველოს სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია
ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ამ ქონების მიმართ
ჩადენილია დანაშაული. მოცემულ შემთხვევაში არსებობს დასაბუთებული ვარაუდი
იმისა, რომ ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N37ა; საკადასტრო კოდი 01.14.06.007.020;
დაზუსტებული ფართობი 2323.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მიმართ ჩადენილია დანაშაული,
დადებულ იქნა თვალთმაქცური გარიგება, რომლის საფუძველზეც შესაძლოა გასხვისდეს
ქონება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ რომან გუნდაძემ
შესაძლოა მოახდინოს ქონებრივი უფლების გადაცემა (იპოთეკის ხელშეკრულების) სხვა
პირზე და შემდგომში მოხდეს მიწის ნაკვეთის გასხვისება, რითაც დაზარალდება იმა
„კაზაბაგების“ წევრთა კანონიერი უფლებები და შეუძლებელი გახდება ქონების
კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნება, მიზანშეწონილია საქმეზე საბოლოო
გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღა დაედოს ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N37ა;
საკადასტრო კოდი 01.14.06.007.020; დაზუსტებული ფართობი 2323.00 კვ.მ. ფართობის
მქონე მიწის ნაკვეთს, რათა არ მოხდეს მათი გასხვისება ან უფლებრივად სხვაგვარი
დატვირთვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სასამართლომ განიხილა რა შუამდგომლობა, მიაჩნია, რომ იგი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლი განსაზღვრავს ქონებაზე ყადაღის დადების მიზანს და საფუძვლებს. აღნიშნული ნორმა ყადაღის დადების შესაძლებლობას ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის მიზნით. ყადაღის დადება ნებადართულია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით, ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებასთან მიმართებაში, თუ არსებობს ამ ქონების გადამალვის ან გახარჯვის საშიშროება. სასამართლოს შეუძლია ასევე ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული (სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

http://nbe.justice.gov.ge/document.php?code=7081539.

მარგარიტა ბოტკოველი (01008032

მის: თბილისი დ. ბაგები კორ. 1 ბ

ირინა ბაგრატიონი-მუხრანელი (65002011

მის: თბილისი, დ. არაყიშვილის I ჩიხი, N1/12, ბინ

კონსტანტინე ბერიკელაშვილი (01010010

მის: თბილისი შ.წუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 7 ბ

მერაბი თუთბერიძე (60001010

მის: ქუთაისი რ.თაბუკაშვილის ქ. N 6

ეკატერინე თევდორაძე (01001009

მის: თბილისი ალ.მირცხულავას ქ. N 12 ბ. 69 / თბილისი, თევდორე მღვდელის ქ. N

წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ

გაცნობებთ, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია თბილი საქალაქო სასამართლოს მიერ 06.01.2016 წელს გაცემული 2/6873-14 სააღსრულებო ფურცე (სააღსრულებო წარმოება A16008748), რომლის თანახმად კრედიტორს წარმოადგენს რომან გუნდ (61002004643).

სააღსრულებო ფურცლის და კრედიტორის განცხადების მიხედვით აღსასრულებელი ვალდებულე მოცულობაა:

45000 აშშ დოლარი.

აღსასრულებელი ვალდებულების სახე:

სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დავალიანების დაფარვის მიზნით თანხების ამოღ განხორციელდეს იპოთეკის საგნის რეალიზაციით. იპოთეკის საგანი - უძრავი ქონება მდებ მისამართი: ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 37ა; (უძრავი ქონების) საკადასტრო კო 01.14.06.007.020;

გაძლევთ წინადადებას, ნებაყოფლობით შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, გადაიხად დაკისრებული თანხა. განგიმარტავთ, რომ თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, გადასახდე იქნება მხოლოდ თქვენთვის დაკისრებული თანხა და კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი საფასუ მოთხოვნის 2% (არანაკლებ 50 ლარისა).

მოგახსენებთ, რომ თქვენს მიმართ განხორციელდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებე აღიწერება, დაყადაღდება და შეფასდება აღსრულების საგანი; ქონებაზე ყადაღის დადებიდან 1 (ერი თვის ვადაში ჩატარდება პირველი იძულებითი აუქციონი.

აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ გეცნობებათ.

ამდენად, იმისათვის რომ თავიდან აიცილოთ ზემოთ აღწერილი ნეგატიური შედეგები, მოიხსნას თქვე მიმართ არსებული ყველა შეზღუდვა და ძირითად ვალდებულებასთან ერთად დამატებით : დაგეკისროთ როგორც აღსრულების საფასურის სრული ოდენობა - აღსასრულებელი მოთხოვნის 7 (არანაკლებ 50 ლარისა), ასევე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გადაწყვეტილების აღსრულებასთ დაკავშირებით გაწეული ხარჯები, მოგმართავთ წინადადებით, გადაიხადოთ დაკისრებული თანხ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია:

მიმღების დასახელება: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო
საიდენტიფიკაციო კოდი: 205263873
მიმღების ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE41BG0000000222222222
საკონტაქტო ტელეფონი: +995 32 2 749 649 (აღსრულების ეროვნული ბიურო), +995 32 2 405 40 (იუსტიციის სახლი)

- იბა კაზა -ბაგები (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601799773)
- თამარ პაიკიძე (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601799807)
- მალხაზ ჩემია (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601799941)
- გურანდა გულიკაშვილი (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800016)
- მანანა ძველიშვილი (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800150)
- ნინო წულაია (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800231)
- ირინე ჭელიძე (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800365)
- ვახტანგ თაქთაქიშვილი (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800499)
- მარგარიტა ბოტკოველი (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800533)
- ირინა ბაგრატიონი-მუხრანელი (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800667)
- კონსტანტინე ბერიკელაშვილი (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800701)
- მერაბი თუთბერიძე (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800835)
- ეკატერინე თევდორაძე (გადახდის იდენტიფიკატორი: 1601800969)

(გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს: გადახდის ეს იდენტიფიკატორი ->, თქვენი სახელი გვარი და პირადი ნომერი; სხვა პირის მიერ თანხის გადახდის შემთხვევაში, გადახდის დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: გადახდის იდენტიფიკატორი, ამ წერილის ნომერი, ვის სასარგებლოდ და რა სახის ვალდებულების დასაფარად იხდით თანხას)

დამატებით გაცნობებთ, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო მზადაა, აღმოგიჩინოთ ყოველგვარი სამართლებრივი მხარდაჭერა თქვენს მიერ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. გთხოვთ, დაუკავშირდეთ სააღსრულებო ბიუროს ცხელ ხაზზე ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ და იძულებითი აღსრულების თანმდევი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით, შეასრულოთ თქვენზე დაკისრებული ვალდებულება ნებაყოფლობით..

აქვე დანართის სახით გეგზავნებათ ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლებების და სააღსრულებო წარმოების განხორციელების პროცედურების შესახებ.

პატივისცემით,

აღსრულების ეროვნული ბიურო

საქმე №12/1554

განჩინება
საქართველოს სახელით

ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ

18 თებერვალი, 2017 წელი
17:45 საათი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის
მოსამართლე **გიორგი კერატიშვილმა**

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორის **ვანო ოქროპირიძის** შუამდგომლობა, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე და

გამოარკვია:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის №092100216006 საქმე, ამხანაგობა კაზა-ბაგების კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტით.

2017 წლის 17 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა პროკურორმა **ვანო ოქროპირიძემ** და ითხოვა უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, შემდეგ გარემოებებზე მითითებით: გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ამხანაგობის თავმჯდომარე მალხაზ ჩემიას განცხადება, რომლის თანახმადაც 2009 წლის 09 მარტს რომან გუნდაძესა და ამხანაგობა „კაზაბაგებს" შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რომან გუნდაძემ ამხანაგობას მიმდინარე ასესხა 29 050 (ოცდაცხრაათას ორმოცდაათი) აშშ დოლარი, რომლის სანაცვლოდაც დაიტვირთა თბილისში წყნეთის გზატკეცილი N37ა-ში მდებარე უძრავი ქონება 2 300 მ2 მიწის

საქართველოს სსსკ-ის 152-ე მუხლის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე ქონებით სარგებლობას.

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობაზე დართული მასალები (გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, მიმართვის წერილები, საჩივარი, მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, დათვალიერების ოქმები და თანდართული დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და სხვა მასალები) ასაბუთებენ ქონებაზე ყადაღის დადების აუცილებლობას, რადგან არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ აღნიშნული ქონების მიმართ შესაძლოა ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. შესაბამისად იმისათვის, რომ არ მოხდეს ქონების გასხვისება, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია ამ ქონების დაყადაღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 151-154-ე, 156-ე და 158-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორის **ვანო ოქროპირიძის** შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. ყადაღა დაედოს ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №37ა, საკადასტრო კოდი 01.14.06.007.020, დაზუსტებული ფართობი 2323.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთს.

3. განჩინება მოქმედებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე ან განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე;

4. განჩინების შესრულება დაევალოს შესაბამის უწყებას და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს.

5. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინება გადაეცეს გასაჩივრების უფლების მქონე პირს განჩინების გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში;

6. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორის, ბრალდებულის ან/და პირის მიერ, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ამ განჩინების შედეგად, აგრეთვე მათი ადვოკატების მიერ განჩინების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის მომენტიდან 48 საათის განმავლობაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე — **გიორგი კერატიშვილი**

შემოსავლების სამსახური
მომსახურების დეპარტამენტი
REVENUE SERVICE
SERVICE DEPARTMENT

№21-11/41756
"28" 10 2011 წ/у

ამხანაგობა "კაზა-ბაგები"-ს

ს/კ 205229670

თქვენი განცხადების (90339/21-11, 28.10.2011წ) პასუხად გაცნობებთ, რომ ამხანაგობა "კაზა-ბაგები"-ს (ს/ნ 205229670, მის: თბილისი, წყნეთის გზა 37ა) თავჯდომარედ 28.10.2011 წლის მდგომარეობით, ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით ფიქსირდება მალხაზ ხუმი (პ/ნ 01008007466)

ირმა ინიაძე

ისანი-სამგორის, ძველი თბილისის და დიდგორის სერვის ცენტრის უფროსი

ქ.თბილისის, 0193 ალექსიძის ქ. № 1
1 Aleksidze Str; Tbilisi 0193, Georgia
ტელ/Tel: (995 32) 226 21 40

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის
ამხანაგობა „კაზა-ბაგების“

წევრთა კრების

ოქმი №3

ჩატარების თარიღი: 2009წ. 31 მარტი

წევრთა კრებას ესწრებოდნენ:

1. თამარ პაიკიძე
2. მერაბ თუთბერიძე
3. მარინა პაპავა
4. ველიკო ჩემია
5. ირინა ჭელიძე
6. მანანა ძველიშვილი
7. კონსტანტინე ბერიკელაშვილი
8. ლალი ზიბზიბაძე
9. რობიზონ ქარქაშაძე
10. მარგარიტა ბოტკოველი
11. წულაია ნინო
12. თაქთაქიშვილი ვახტანგი
13. ი. ბაგრატიონ–მუხრანელი
14. ბადრი ჯიმშელეიშვილი

ქვორუმი: კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, ვინაიდან მას ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3

კრების თავმჯდომარე: ამხანაგობის დამსწრე წევრებმა კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს **ქ-ნი თამარ პაიკიძე**, ხოლო მდივნად ქ-ნ ლალი ზიბზიბაძე.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ თავმჯდომარის ბ. ჭელიძის თანამდებობიდან გათავისუფლება და ახალი თავმჯდომარის არჩევა;
2. ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ დაფუძნების ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

დღის წესრიგის 1-ლ საკითხთან დაკავშირებით კრებამ მოისმინა:

ქ-ნი თ. პაიკიძის ინფორმაცია. როგორც თქვენთვის ცნობილია, ამხანაგობა „კაზა-ბაგებში“ დღეს არსებული ქაოსური ვითარების გამო, ინფორმაციის მოსაპოვებლად ვცდილობდით ამხანაგობის თავჯდომარესთან, ბადრი ჭელიძესთან შეხვედრას. თუმცა, ჩვენი არაერთგზის მცდელობის მიუხედავად ბ. ჭელიძესთან შეხვედრა ვერ მოხერხდა.

კაკუშაძესთან, რომელმაც მოგვაწოდა ინფორმაცია ამხანაგობა „კაზა-ბაგების" შესახებ. კერძოდ, მის მიერ გადმოცემული მონაცემების მიხედვით, 2008 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ამხანაგობის წევრთა რაოდენობა შეადგენს 20 წევრს. ხოლო რაც შეეხება ამხანაგობა „კაზა-ბაგების" თავმჯდომარესთან, ბადრი ჭელიძესთან შეხვედრას, მ. კაკუშაძე არაერთხელ შეგვპირდა მასთან შეხვედრის ორგანიზებას, თუმცა ამაოდ.

ფაქტობრივად, ამხანაგობის წევრების ბადრი ჭელიძესთან შეხვედრა დღემდე ვერ მოხერხდა. ამასთან მ. კაკუშაძემ თავად განგვიცხადა, რომ თუ ამხანაგობის თავმჯდომარესთან, ბადრი ჭელიძესთან რაიმე პრეტენზიები გაგვაჩნია, გვაქვს შესაძლებლობა მოვიწვიოთ ამხანაგობის წევრთა კრება და მივიღოთ გადაწყვეტილება ახალი თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

ამჟამად, ჩვენ წარმოვადგენთ ამხანაგობის წევრთა უმრავლესობას, ვინაიდან ამხანაგობის 20 წევრიდან სახეზე ვართ 14 წევრი. გამომდინარე აქედან, დაფუძნების ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ უფლებამოსილი ვართ დღეს მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ამდენად, სწორედ დღევანდელ კრებაზე უნდა ვიმსჯელოთ ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევის შესახებ. ამხანაგობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად კი, კრებას ვთავაზობ ბ-ნ მალხაზ ჩემიას კანდიდატურას.

ქ-ნი მ. ძველიშვილი: ამხანაგობა „კაზა-ბაგების" დაფუძნების დღიდან, კერძოდ კი 2007 წლიდან მოყოლებული დღემდე, ამხანაგობას არ შეუსრულებია დაფუძნების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობამ საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად 2007 წ. 4 დეკემბერს შეიძინა მიწის ნაკვეთი, მას დღემდე არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი არსებითი ვალდებულებები. კერძოდ, ამხანაგობას დღემდე მშენებლობისათვის სავალდებულო წინარე დოკუმენტაციაც (სამშენებლო პროექტი, სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა) კი არ მოუმზადებია. უფრო მეტიც, რაც ყველაზე მთავარია, ამხანაგობას დღემდე არც არანაირი სამშენებლო სამუშაოების ჩატარება არ დაუწყია. ყოველივე აღნიშნული კი, რა თქმა უნდა, ამხანაგობის თავმჯდომარის არამართლზომიერი მოქმედებებით არის გამოწვეული, რაც შემდგომში ჩვენი დავის საგანი გახდება სასამართლოში.

ამდენად, სრულად ვიზიარებ ქ-ნ თ. პაიკიძის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევის შესახებ და ვეთანხმები აღნიშნულ თანამდებობაზე ბ-ნ მალხაზ ჩემიას კანდიდატურას.

ქ-ნ ნ. წულაია: როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩვენს მიერ ამხანაგობაში შეტანილი თანხები ამხანაგობის საბანკო ანგარიშებზე აღარ არის. სრულიად უცნობია, რაში იქნა ამხანაგობის მიერ აღნიშნული თანხები გახარჯული, მაშინ როცა ამხანაგობას დაფუძნების ხელშეკრულებით ნაკისრი არც ერთი ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია. საინტერესოა, ვის უნდა მივაწეროთ აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა, თუ არა ამხანაგობის თავმჯდომარის უკანონო ქმედებებს.

ამდენად, ვფიქრობ, ამხანაგობა „კაზა-ბაგების" ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელიც არის ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევა. მართალია, ბ-ნ მალხაზ ჩემია არ არის ამხანაგობა „კაზა-ბაგების" წევრი, მაგრამ ამხანაგობის 2007 წლის 16 ოქტომბრის დაფუძნების ხელშეკრულება არ გვიზღუდავს უფლებას ამხანაგობის არა წევრი ავირჩიოთ თავმჯდომარედ.

გამომდინარე აქედან, ვეთანხმები ქ-ნ: თამარ პაიკიძისა და მანანა ძველიშვილის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, ამხანაგობა „კაზა-ბაგების" ახალი თავმჯდომარის თანამდებობაზე ბ-ნ მალხაზ ჩემიას არჩევის თაობაზე.

თ. პაიკიძე: ჩვენ ხელთ გვაქვს ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ 2008 წლის 17 ოქტომბრის ოქმი, რის საფუძველზეც ბადრი ჭელიძე თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით გახდა ამხანაგობის თავმჯდომარე.

ჩვენთვის ყველასთვის ცნობილია, რომ რეალურად ამხანაგობის წევრთა კრება არ ჩატარებულა და ამხანაგობის წევრებს ახალი თავმჯდომარის (ბადრი ჭელიძის) არჩევის თაობაზე რაიმე სახის გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

2008 წლის 17 ოქტომბრის ოქმის შედგენით, ბ. ჭელიძის მიერ მიღებული იქნა უკანონო გადაწყვეტილება. კერძოდ კი, მან თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით საკუთარი თავი აირჩია ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ თავმჯდომარედ და უხეშად დაარღვია 2007 წლის 16 ოქტომბრის ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულების 6.3 და 6.4.1, 6.7 პუნქტების მოთხოვნები.

გამომდინარე აქედან, ვფიქრობ სწორედ დღევანდელ კრებაზე ბათილად უნდა ვცნოთ ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ 2008 წლის 17 ოქტომბრის ოქმი, რის საფუძველზეც ბ. ჭელიძე სრულიად უკანონოდ გახდა ამხანაგობის თავმჯდომარე.

ამხანაგობის წევრთა კრებაზე ~~დამსწრე ყველა წევრი~~ ერთხმად დაეთანხმა 2008 წლის 17 ოქტომბრის ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ წევრთა კრების ოქმის ბათილობას და მხარი დაუჭირა ბ-ნ. მალხაზ ჩემიას კანდიდატურას ამხანაგობის თავმჯდომარის თანამდებობაზე მისი არჩევის შესახებ.

~~კრებამ გადაწყვიტა:~~

1. ბათილად იქნას ცნობილი 2008 წლის 17 ოქტომბრის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ წევრთა კრების ოქმი;
2. გათავისუფლდეს ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ თავმჯდომარე ბადრი ჭელიძე დაკავებული თანამდებობიდან;
3. ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ბ-ნ **მალხაზ ჩემია** (დაბ. 30.07.1956წ, მცხ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. №24. ბ. 15; პ/ნ №01008007466; პ/მ №ა 1252765; გაც. 12.03.2009წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ).

გადაწყვეტილება მიღებული იქნა
დამსწრე წევრთა 100%-ის უმრავლესობით

დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით კრებამ მოისმინა:

ქ-ნ თ. პაიკიძე: წარმოგიდგენთ 2007 წლის 16 ოქტომბრის ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ დაფუძნების ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტს, რაზედაც ამხანაგობის წევრებს გვქონდა უკვე მსჯელობა.

დაფუძნების ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა.

ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ დაფუძნების ხელშეკრულება (მუხლი 5) ამხანაგობის თავმჯდომარეს აძლევს განუსაზღვრელ უფლებამოსილებას, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები ისეთ მნიშვნელოვან, სტრატეგიულ საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად: ამხანაგობის კუთვნილი უძრავი ქონების განკარგვა, კრედიტებისა და სესხების აღება ან ვალდებულებით დატვირთვა და ა.შ. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ შეუწყო ხელი ამხანაგობის თავმჯდომარეს, ბ. ჭელიძეს უკანონო ქმედებების განხორციელებაში. თქვენთვის ცნობილია, ბ. ჭელიძემ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით 2009 წლის 9 მარტს გააფორმა სესხისა და იპოთეკის

ხელშეკრულება ვინმე რომან გუნდაძესთან, რის საფუძველზეც 2 თვის ვადით აიღო სესხი 29.050 აშშ დოლარის ოდენობით და მის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ერთადერთი მიწის ნაკვეთი (მდებარე ქ. თბილისი, გზატკეცილი წყნეთი №37ა), რომელზედაც უნდა განხორციელდეს ჩვენი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

გარდა ამისა, არის სხვა კიდევ რიგი საკითხებისა, რაზედაც ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებას. ჩვენ საერთოდ სადაოდ უნდა გავხადოთ 2008 წლის 17 ოქტომბერს ბადრი ჭელიძის ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩევის საკითხი და მოვითხოვოთ ამხანაგობის უკანონო ოქმების ბათილად ცნობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებაში შევიტანოთ გარკვეული სახის ცვლილებები და დამატებები. კერძოდ, შევცვალოთ ამხანაგობის მართვის სისტემა და შევმქნათ ამხანაგობის ორგანოთა უფრო მოქნილი სტრუქტურა. კერძოდ, შევქმნათ გამგეობა და შესაბამისად მნიშვნელოვან, სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად, ამხანაგობის წევრთა ხმათა მაღალი ქვორუმი დავაწესოთ. ვფიქრობ, ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებაში, აღნიშნული სახის ცვლილებების განხორციელება ხელს შეუწყობს შემდგომში ამხანაგობის ნორმალურად ფუნქციონირებას.

ქ-ნი ნ. წულაია: სრულად ვიზიარებ და ვეთანხმები ქ-ნ თ. პაიკიძის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებაში ზემოაღნიშნული სახის ცვლილებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს, სამომავლოდ აღვკვეთოთ ის უკანონო და არამართლზომიერი ქმედებები, რასაც აქამდე ჩვენს შემთხვევაში ყოფილი ამხანაგობის თავმჯდომარის, ბადრი ჭელიძის მხრიდან ჰქონდა ადგილი.

ბ-ნ რ. ქარქაშაძე: მეც ასევე ვეთანხმები ქ-ნ: თამარ პაიკიძისა და ნინო წულაიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ დაფუძნების ხელშეკრულებაში ზემოაღნიშნული სახის ცვლილებების განხორციელების შესახებ.

ვფიქრობ, როგორც ასეთი ამხანაგობის გადასარჩენად აუცილებელიც არის დაფუძნების ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ყოველივე აღნიშნული მოგვცემს მძლავრ ბერკეტს იმისას, რომ რეალურად მივაღწიოთ ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებით დასახულ მიზანს, მოვიძიოთ ინვესტორი და დავიწყოთ მშენებლობა.

ამხანაგობის წევრთა კრებაზე დამსწრე ~~ყველა წევრი~~ ერთხმად დაეთანხმა ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წარმოდგენილ პროექტს.

კრებამ გადაწყვიტა:

1. შეტანილი იქნას ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ დაფუძნების შესახებ 2007წ. 16 ოქტომბრის სანოტარო აქტში (რეესტრი რეგისტრაციის №1-16984) შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

   1) ხელშეკრულების **1-ლი მუხლის 1.2 პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „1.2. ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ამხანაგობის დამფუძნებელი: ამხანაგობის დამფუძნებელია ყველა ის პირი, ვინც ხელი მოაწერა ერთობლივი საქმიანობის შესახებ (ამხანაგობის) 2007წ. 16 ოქტომბრის ხელშეკრულებას.

ამხანაგობის შემდგომი წევრი: ამხანაგობის შემდგომი წევრია ყველა ის პირი, ვინც ამხანაგობის დაფუძნების შემდეგ ამხანაგობის წევრი გახდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

შესატანი: შესატანი ამხანაგობაში შეიძლება იყოს უძრავი ქონება, ფულადი სახსრები, მომსახურების გაწევა, ასევე სხვა ქონება, მათ შორის არამატერიალური ქონება, რაც აუცილებელია ამხანაგობის მიზნების მისაღწევად. ამხანაგობის შესატანი წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას, ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს აგრეთვე მის მიერ შეძენილი ქონება“.

ბ) ხელშეკრულების **1-ლ მუხლს დაემატოს** შემდეგი შიინაარსის 1.2.2 პუნქტი :

„1.2.2 მესამე პირი ამხანაგობის წევრი შეიძლება გახდეს წილის (წილის ნაწილის) შეძენით ან მემკვიდრეობით. წილის (წილის ნაწილის) შეძენა ხორციელდება წილის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე. წილის (წილის ნაწილის) შემძენზე გადადის წილის დამთმობის ყველა უფლება და ვალდებულებება შეძენილი წილის პროპორციულად.“

2) ხელშეკრულების **მე-5 მუხლის 5.1, 5,2 5.3, 5.3.1, 5.3.5 პუნქტები** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 5. ამხანაგობის ხელმძღვანელობა და მართვა**

5.1 ამხანაგობის მართვის ორგანოებია:
1. ამხანაგობის წევრთა კრება
2. ამხანაგობის გამგეობა

5.2 ამხანაგობის თავმჯდომარე აირჩევა და განთავისუფლდება გამგეობის მიერ. ამხანაგობის თავმჯდომარე შეიძლება არ იყოს ამხანაგობის წევრი.

5.3 ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად, მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში.

5.3.1 ამხანაგობის თავმჯდომარე წყვეტს ამხანაგობის მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც შედის წევრთა კრებისა და გამგეობის კომპეტენციაში.“

5.3.5 ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს ამხანაგობის გამგეობას. ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ განხორციელებული შესრულება რჩება ამხანაგობას.“

3) ხელშეკრულების **მე-6 მუხლი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) **„მუხლი 6. ამხანაგობის წევრთა კრება**

6.1 ამხანაგობის წევრთა კრება (შემდგომში – „წევრთა კრება“) მოიწვევა საჭიროებისამებრ, ამხანაგობის თავმჯდომარის, გამგეობის ან წევრთა არანაკლებ 20% მოთხოვნით, ამხანაგობის წევრებისათვის ორი კვირით ადრე გაგზავნილი შეტყობინებით.

6.2 შეტყობინებაში მიეთითება წევრთა კრების ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი. წევრმა თავისი წინადადებები დღის წესრიგთან დაკავშირებით ამხანაგობის თავმჯდომარეს უნდა აცნობოს კრებამდე 2 დღით ადრე მაინც.

6.3 წევრთა კრების სხდომას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას ან მის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამხანაგობის წევრები თავად ირჩევენ კრების თავმჯდომარეს.

6.4. წევრთა კრება ირჩევს კრების მდივანს, რომელიც ადგენს კრების ოქმს და თავმჯდომარესთან ერთად ადასტურებს ხელისმოწერით.

6.5 წევრთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ქვემოთ მითითებულ საკითხებზე:

1. ამხანაგობის გაუქმება;
2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა;
3. ამხანაგობის საქმიანობის პროფილის შეცვლა;
4. ამხანაგობის გამგეობის არჩევა და გადარჩევა;
5. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა

6.6 წევრთა კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება ამხანაგობის წევრთა სულ მცირე 2/3 მაინც; წევრს უფლება აქვს წევრთა კრებაზე შესაბამისი სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით წარმოდგენილი იყოს სხვა პირით.

6.7 იმ შემთხვევაში, თუ წევრთა კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, ერთი კვირის შემდეგ, იგივე დღის წესრიგით, ჩატარდება ხელმეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 50% მაინც.

6.8 წევრთა კრება გამგეობის არჩევის და გადარჩევის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 უმრავლესობით; სხვა შემთხვევაში, წევრთა კრება გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის წევრთა სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ხელშეკრულებით დადგენილია სხვა უმრავლესობა;

6.9 გადაწყვეტილებების მიღებისას ამხანაგობის თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა.

6.10წევრთა კრებაზე დგება კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგობის თავმჯდომარე და კრების მდივანი; კრების ოქმი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, თუ ეს გათვალისწინებული კანონმდებლობით ან ამას დაადგენს წევრთა კრება. ოქმში აღინიშნება კრების ჩატარების დრო და ადგილი, დამსწრე წევრები და დღის წესრიგის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები. ამხანაგობის წევრის მოთხოვნით მისი გამოსვლა დეტალურად აისახება კრების ოქმში.“

ბ) ხელშეკრულების მე-6 მუხლს **დაემატოს** შემდეგი შინაარსის **61^1-ე მუხლი:**

„მუხლი 6^1. ამხანაგობის გამგეობა

6^1.1 ამხანაგობის გამგეობა (შემდგომში – „გამგეობა“) აირჩევა წევრთა კრების მიერ ამხანაგობის მოქმედების ვადით;

6^1.2 გამგეობა შედგება 6 პირისაგან. გამგეობის წევრები არ იღებენ გასამრჯელოს თავისი საქმიანობისათვის. გამგეობის წევრმა თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რაც მიადგება ამხანაგობას ან მესამე პირებს.

6^1.3 გამგეობის წევრის საქმიანობა წყდება შემდეგ შემთხვევაში:

3.1. გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადების საფუძველზე;
3.2. გარდაცვალების შემთხვევაში;
3.3. თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლისას;

3.4. მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში;

3.5. მისი ვადამდე გაწვევის შემთხვევაში.

6[1].4 გამგეობის სხდომა საჭიროების შემთხვევაში, მოიწვევა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ. გამგეობის სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას აგრეთვე გამგეობის სულ მცირე 2 წევრის მოთხოვნით. თუ მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში თავმჯდომარე არ გამოეხმაურება მას, ამ პირებს შეუძლიათ თავად მოიწვიონ გამგეობის სხდომა. გამგეობა ტარდება ამხანაგობის ფაქტიურ მისამართზე ან მომწვევის მიერ შერჩეულ სხვა ადგილას. მოწვევა შეიძლება მოხდეს როგორც ზეპირი, ასე წერილობითი (წერილი, ფაქსი, ელ.ფოსტა და სხვ.) შეტყობინებით;

6[1].5 გამგეობის სხდომას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას ან მის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამგეობის წევრები თავად ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს.

6[1].6 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

1.1. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა და გამოწვევა;

1.2. ამხანაგობის წევრისათვის თანხმობის მიცემა განკარგოს (გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს) თავისი წილი (წილის ნაწილი). თანხმობა დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით.

1.3. სესხებისა და კრედიტების აღება;

1.4. ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა;

1.5. სამშენებლო კომპანიის შერჩევა;

1.6. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების ორგანიზება;

1.7. ამხანაგობის საშტატო განრიგის დამტკიცება;

1.8. თანხმობის მიცემა ამხანაგობის თავმჯდომარისათვის ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ საკითხებზე;

1.9. ამ ხელშეკრულებითა და კანონით მასზე დაკისრებულ სხვა საკითხებზე.

6[1].7 გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს გამგეობის სხდომაზე. გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა 2/3 მაინც. თუ მოწვევისას გამგეობა არ აღმოჩნდა გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარე ვალდებულია არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში მოიწვიოს შემდგომი გამგეობა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.

6[1].8 ისეთ სტრატეგიულ საკითხებზე, როგორიცაა: (მაგ: უძრავი ქონების განკარგვა, სესხებისა და კრედიტების აღება და ა.შ) გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 უმრავლესობით. ხოლო სხვა საკითხებზე გამგეობის გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა უმრავლესობა არა არის დადგენილი.

6[1].9 კენჭისყრისას თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. გამგეობამ გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღოს სხდომის ჩატარების გარეშეც. ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილად ჩაითვლება, თუკი გადაწყვეტილებას ხელს აწერს გამგეობის ხუთი წევრი მაინც.

6[1].10 თუ გამგეობის წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამგეობის სხდომამდე 2 დღით ადრე წერილობით წარუდგინოს ამხანაგობის თავმჯდომარეს.

6[1].11 გამგეობის სხდომის დროს დგება ოქმი, სადაც აღინიშნება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მონაწილეები და დღის წესრიგის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები. გამგეობის სხდომის ოქმს ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე. ოქმი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ან გამგეობის გადაწყვეტილების შემთხვევაში.“

4) ხელშეკრულების **მე-13 მუხლი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. ამხანაგობის წევრის წილის განკარგვა

13.1 ამხანაგობის დამფუძნებელი და შემდგომი წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით.

13.2 თითოეულ წევრს უფლება აქვს ამხანაგობის გამგეობის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით განკარგოს (გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს) თავისი წილი (წილის ნაწილი). წილის გასხვისება საჭიროებს ასევე სანოტარო წესით დამოწმებას.

13.3 ამხანაგობის წევრის მიერ წილის (წილის ნაწილის) გასხვისება უნდა მოხდეს მათ მიერ ამხანაგობის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან ერთად. წილის გასხვისებისას ხდება შემძენზე უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა და იგი არ გულისხმობს მატერიალური ქონების (მიწის ნაკვეთის, აშენებული ფართის, ნაგებობის) გადაცემას. წილის ნაწილობრივი გასხვისებისას შემძენზე შესაბამისი პროპორციით გადადის გამსხვისებლის ვალდებულებების ნაწილი. წილის (წილის ნაწილის) გასხვისება საჭიროებს ცვლილებების შეტანას ბინების განშლაში და “ამხანაგობის წევრთა ჟურნალში“.

13.4 ამხანაგობის წევრები წინამდებარე ხელშეკრულებით უარს აცხადებენ ერთმანეთის წილების შესყიდვის უპირატეს უფლებაზე.“

5) ხელშეკრულების **15.2 მუხლი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15.2 მხარეთა შორის ნებისმიერი საკითხი წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით.“

6) ხელშეკრულების **15.3 პუნქტი** ამოღებული იქნეს.

2. დაევალოს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ თავმჯდომარეს, ბ-ნ მალხაზ ჩემიას, უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის ნოტარიულად დამოწმება.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა
დამსწრე წევრთა 100%-ის უმრავლესობით

ხელმოწერები:

ამხანაგობის წევრები:

1. თამარ პაიკიძე

2. მერაბ თუთბერიძე

3. მარინა პაპავა

4. ველიკო ჩემია

5. ირინე ჭელიძე

6. მანანა ძველიშვილი

7. კონსტანტინე ბერიკელაშვილი

8. ლალი ზიბზიბაძე

9. რობიზონ ქარქაშაძე

10. მარგარიტა ბოტკოველი

11. წულაია ნინო

12. თაქთაქიშვილი ვახტანგი

13. ი. ბაგრატიონ მუხრანელი

14. ბადრი ჯიმშელეიშვილი

ამხანაგობის კრების თავმჯდომარე
თამარ პაიკიძე

კრების მდივანი
ლალი ზიბზიბაძე

საქართველო

რეესტრში რეგისტრაციის № 090045766

სანოტარო აქტი

დღეს, ორი ათას ცხრა წლის თოთხმეტ აპრილს, ჩემთან, ქალაქ თბილისის ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, რუსთაველის 18, გამოცხადდნენ: **თამარ პაიკიძე,** დაბადებული 10.03.1956 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, წერეთლის კორპუსი 13, ბინა 50, პირადობის მოწმობა № ა 0154943, პირადი № 01007007108, გაცემული თბილისის დიდუბის რშს 2 ქვგ მიერ 22.12.1997 წელს, **მარინა პაპავა,** დაბადებული 12.11.1950 წელს ხარაგოულში, მცხოვრები სოხუმში, ძიძარიას 70-ა, ბინა 8, პირადობის მოწმობა № ე 0155085, პირადი № 62001030771, გაცემული სოხუმის შსს მიერ 14.12.2001 წელს, **ველიკო ჩემია,** დაბადებული 01.03.1939 წელს გულრიფშში, მცხოვრები სოხუმში, თბილისის გზატკეცილი № 15, ბინა № 33, დროებით მცხოვრები (მისი განცხადებით) თბილისში, თევდორე მღვდლის 13, პირადობის მოწმობა № ე 0042075, პირადი № 62001008989, გაცემული სოხუმის შსს მიერ 09.11.1998 წელს, **მანანა ძველიშვილი,** დაბადებული 31.07.1958 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი № 24, ბინა № 15, პირადობის მოწმობა № ბ 1252763, პირადი № 01008007465, გაცემული სრს საბურთალოს სამსახურის მიერ 12.03.2009 წელს, **რობიზონ ქარქაშაძე,** დაბადებული 23.06.1963 წელს თერჯოლის რაიონში, მცხოვრები თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 19, ბინა 26, პირადობის მოწმობა № ა 0287384, პირადი № 01008021515, გაცემული თბილისის ვაკის რშსს მიერ 01.08.2000 წელს, **ნინო წულაია,** დაბადებული 10.01.1966 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, სიმონ ჩიქოვანის 20, ბინა 87, პირადობის მოწმობა № ბ 0520187, პირადი № 01026016006, გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს რშს 5 განყოფილების მიერ 02.09.2004 წელს, **ირინე ჭელიძე,** დაბადებული 16.02.1962 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, რუსთაველის 1, პირადობის მოწმობა № დ 0031173, პირადი № 01017000659, გაცემული თბილისის მთაწმინდის შს განყოფილების მიერ 28.02.1995 წელს, **ვახტანგ თაქთაქიშვილი,** დაბადებული 18.08.1987 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა № 41, ბინა № 24, პირადობის მოწმობა № ბ 0502582, პირადი № 01008028776, გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს საპასპორტო განყოფილების მიერ 15.07.2004 წელს, მარგარიტა ბოტკოველი, დაბადებული 09.03.1975 წელს თელავში, მცხოვრები თბილისში, ბაგები, კორპუსი 1, ბინა 59, პირადობის მოწმობა № ბ 0636295, პირადი № 01008032424, გაცემული ვაკის საპასპორტო და მრს მიერ 18.01.2005 წელს, **ბადრი ჯიმშელეიშვილი,** დაბადებული 16.02.1966 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, ბარნოვის 143, პირადობის მოწმობა № ბ 0001698, პირადი № 01008000776, გაცემული თბილისის ვაკის შს განყოფილების მიერ 24.01.1995 წელს. **ცირა თაქთაქიშვილი,** დაბადებული 02.08.1944 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, დ.არაყიშვილის I ჩიხი № 1/12, ბინა 4, პირადობის მოწმობა № გ 1211946, პირადი № 01008007240, გაცემული სრს ვაკის სამსახურის მიერ 28.10.2008 წელს, როგორც წარმომადგენელი ირინა ბაგრატიონ-მუხრანელის, დაბადებული 19.12.1945 წელს, პასპორტი 45 01 954173, გაცემული 14.01.2002 წელს, თანახმად მინდობილობისა, დადასტურებული 13.04.2009 წელს მოსკოვის ნოტარიუსის, ს.ი.ედოკოვას, მიერ, რეესტრი № 1დ-928, **ლალი ზიბზიბაძე,** დაბადებული 23.09.1963 წელს ჩარაგაულში, მცხოვრები რუსთავში, ვაჟა-ფშაველას 2 გასასვ. კორპუსი 6, ბინა 7, პირადობის მოწმობა № ა 0070285, პირადი № 35001007035, გაცემული რუსტავის სრსს მიერ 27.09.1995 წელს, **კონსტანტინე ბერიკელაშვილი,** დაბადებული 04.08.1982 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, 2 მ/რ, 2 კვარტალი, კორპუსი 7, ბინა 24, პირადობის მოწმობა № ა 1196587,

პირადი № 01010010840, გაცემული ვაკის სრსს მიერ 15.07.2008 წელს, **მერაბ თუთბერიძე**, დაბადებული 20.05.1951 წელს წყალტუბოში, მცხოვრები ქუთაისში, რ.თაბუკაშვილის 6, ბინა 6, პირადობის მოწმობა № დ 0168838, პირადი № 60001010856, გაცემული ქუთაისის სრსს მიერ 06.08.1997 წელს. მათ წარმომიდგინეს იბა "კაზა-ბაგები"-ს 31.03.2009 წლის კრების ოქმი № 3 და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, მათი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ქ.თბილისის ნოტარიუსმა, ნარგიზა ჯანხოთელმა, დავამოწმე წინამდებარე დოკუმენტზე მათი ხელმოწერა და არა დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების სისწორე.

გადახდილია საზღაური საქართველოს კანონის "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 29 მუხლის თანახმად, 28.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, 5,04 ლარი, სულ 33,03 ლარი.

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი



შემოსავლების
სამსახური

თბილისი 0160, მ.კოსტავას №68ა
/ ს.ჩიქოვანის №2
ტელ: +995 (32) 226 21 40
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge
მომსახურების დეპარტამენტი

32642-21-11-2-202304201224

N 21-11/32642

20.04.2023

"ი/მ ამხანაგობა კაზა-ბაგები"-ს (ს/ნ 205229670)
ხელმძღვანელს მალხაზ ჩემიას (პ/ნ 01008007466)
მის: ქ. თბილისი; ალ. ყაზბეგის 24ბ; ბ 15
მობ: 599 576 123

თქვენი 10.04.2023 წლის N 62385/21-11 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით (20.04.2023 წლის 10:15 საათის მდგომარეობით) "ი/მ ამხანაგობა კაზა-ბაგები" (ს/ნ 205229670) რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელ პირად, რეესტრში ჩართვის თარიღია 16.10.2007 წელი; საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თარიღია 02.11.2007 წელი, ხელმძღვანელი- მალხაზ ჩემია (პ/ნ 01008007466) .

ანა ძირკველიშვილი

სამმართველოს უფროსის მოადგილე

გადასახადების ადმინისტრირების სამმართველო

გადაწყვეტილება მიღებულია

ამხანაგობის წევრთა კრების მიერ

2009წ. 31 მარტს

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კაზა-ბაგები“

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის)

შესახებ ხელშეკრულება

(2009წ. 31 მარტის ცვლილებებით)

თბილისი
2009

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) შესახებ ხელშეკრულება

„1.2. ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ამხანაგობის დამფუძნებელი: ამხანაგობის დამფუძნებელია ყველა ის პირი, ვინც ხელი მოაწერა ერთობლივი საქმიანობის შესახებ (ამხანაგობის) 2007წ. 16 ოქტომბრის ხელშეკრულებას.

ამხანაგობის შემდგომი წევრი: ამხანაგობის შემდგომი წევრია ყველა ის პირი, ვინც ამხანაგობის დაფუძნების შემდეგ ამხანაგობის წევრი გახდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

შესატანი: შესატანი ამხანაგობაში შეიძლება იყოს უძრავი ქონება, ფულადი სახსრები, მომსახურების გაწევა, ასევე სხვა ქონება, მათ შორის არამატერიალური ქონება, რაც აუცილებელია ამხანაგობის მიზნების მისაღწევად. ამხანაგობის შესატანი წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას, ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს აგრეთვე მის მიერ შეძენილი ქონება“.

„1.2.2 მესამე პირი ამხანაგობის წევრი შეიძლება გახდეს წილის (წილის ნაწილის) შეძენით ან მემკვიდრეობით. წილის (წილის ნაწილის) შეძენა ხორციელდება წილის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე. წილის (წილის ნაწილის) შემძენზე გადადის წილის დამთმობის ყველა უფლება და ვალდებულებება შეძენილი წილის პროპორციულად.“

„მუხლი 5. ამხანაგობის ხელმძღვანელობა და მართვა

5.1 ამხანაგობის მართვის ორგანოებია:
1. ამხანაგობის წევრთა კრება
2. ამხანაგობის გამგეობა

5.2 ამხანაგობის თავმჯდომარე აირჩევა და განთავისუფლდება გამგეობის მიერ. ამხანაგობის თავმჯდომარე შეიძლება არ იყოს ამხანაგობის წევრი.

5.3 ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად, მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში.

5.3.1 ამხანაგობის თავმჯდომარე წყვეტს ამხანაგობის მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც შედის წევრთა კრებისა და გამგეობის კომპეტენციაში.“

5.3.5 ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს ამხანაგობის გამგეობას. ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ განხორციელებული შესრულება რჩება ამხანაგობას.“

„მუხლი 6. ამხანაგობის წევრთა კრება

6.1 ამხანაგობის წევრთა კრება (შემდგომში – „წევრთა კრება“) მოიწვევა საჭიროებისამებრ, ამხანაგობის თავმჯდომარის, გამგეობის ან წევრთა არანაკლებ 20% მოთხოვნით, ამხანაგობის წევრებისათვის ორი კვირით ადრე გაგზავნილი შეტყობინებით.

6.2 შეტყობინებაში მიეთითება წევრთა კრების ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი. წევრმა თავისი წინადადებები დღის წესრიგთან დაკავშირებით ამხანაგობის თავმჯდომარეს უნდა აცნობოს კრებამდე 2 დღით ადრე მაინც.

6.3 წევრთა კრების სხდომას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას ან მის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამხანაგობის წევრები თავად ირჩევენ კრების თავმჯდომარეს.

6.4. წევრთა კრება ირჩევს კრების მდივანს, რომელიც ადგენს კრების ოქმს და თავმჯდომარესთან ერთად ადასტურებს ხელისმოწერით.

6.5 წევრთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ქვემოთ მითითებულ საკითხებზე:

1. ამხანაგობის გაუქმება;
2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა;
3. ამხანაგობის საქმიანობის პროფილის შეცვლა;
4. ამხანაგობის გამგეობის არჩევა და გადარჩევა;
5. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა

6.6 წევრთა კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება ამხანაგობის წევრთა სულ მცირე 2/3 მაინც; წევრს უფლება აქვს წევრთა კრებაზე შესაბამისი სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით წარმოდგენილი იყოს სხვა პირით.

6.7 იმ შემთხვევაში, თუ წევრთა კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, ერთი კვირის შემდეგ, იგივე დღის წესრიგით, ჩატარდება ხელმეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 50% მაინც.

6.8 წევრთა კრება გამგეობის არჩევის და გადარჩევის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 უმრავლესობით; სხვა შემთხვევაში, წევრთა კრება გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის წევრთა სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ხელშეკრულებით დადგენილია სხვა უმრავლესობა;

6.9 გადაწყვეტილებების მიღებისას ამხანაგობის თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა.

6.10წევრთა კრებაზე დგება კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგობის თავმჯდომარე და კრების მდივანი; კრების ოქმი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, თუ ეს გათვალისწინებული კანონმდებლობით ან ამას დაადგენს წევრთა კრება. ოქმში აღინიშნება კრების ჩატარების დრო და ადგილი, დამსწრე წევრები და დღის წესრიგის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები. ამხანაგობის წევრის მოთხოვნით მისი გამოსვლა დეტალურად აისახება კრების ოქმში.“

„მუხლი 6[1]. ამხანაგობის გამგეობა

6[1].1 ამხანაგობის გამგეობა (შემდგომში – „გამგეობა“) აირჩევა წევრთა კრების მიერ ამხანაგობის მოქმედების ვადით;

6¹.2 გამგეობა შედგება 6 პირისაგან. გამგეობის წევრები არ იღებენ გასამრჯელოს თავისი საქმიანობისათვის. გამგეობის წევრმა თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რაც მიადგება ამხანაგობას ან მესამე პირებს.

6¹.3 გამგეობის წევრის საქმიანობა წყდება შემდეგ შემთხვევაში:

3.1. გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადების საფუძველზე;
3.2. გარდაცვალების შემთხვევაში;
3.3. თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლისას;
3.4. მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში;
3.5. მისი ვადამდე გაწვევის შემთხვევაში.

6¹.4 გამგეობის სხდომა საჭიროების შემთხვევაში, მოიწვევა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ. გამგეობის სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას აგრეთვე გამგეობის სულ მცირე 2 წევრის მოთხოვნით. თუ მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში თავმჯდომარე არ გამოეხმაურება მას, ამ პირებს შეუძლიათ თავად მოიწვიონ გამგეობის სხდომა. გამგეობა ტარდება ამხანაგობის ფაქტიურ მისამართზე ან მომწვევის მიერ შერჩეულ სხვა ადგილას. მოწვევა შეიძლება მოხდეს როგორც ზეპირი, ასე წერილობითი (წერილი, ფაქსი, ელ.ფოსტა და სხვ.) შეტყობინებით;

6¹.5 გამგეობის სხდომას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას ან მის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამგეობის წევრები თავად ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს.

6¹.6 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

1.1. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა და გამოწვევა;
1.2. ამხანაგობის წევრისათვის თანხმობის მიცემა განკარგოს (გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს) თავისი წილი (წილის ნაწილი). თანხმობა დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით.
1.3. სესხებისა და კრედიტების აღება;
1.4. ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა;
1.5. სამშენებლო კომპანიის შერჩევა;
1.6. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების ორგანიზება;
1.7. ამხანაგობის საშტატო განრიგის დამტკიცება;
1.8. თანხმობის მიცემა ამხანაგობის თავმჯდომარისათვის ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ საკითხებზე;
1.9. ამ ხელშეკრულებითა და კანონით მასზე დაკისრებულ სხვა საკითხებზე.

6¹.7 გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს გამგეობის სხდომაზე. გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა 2/3 მაინც. თუ მოწვევისას გამგეობა არ აღმოჩნდა გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარე ვალდებულია არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში მოიწვიოს შემდგომი გამგეობა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.

6¹.8 ისეთ სტრატეგიულ საკითხებზე, როგორიცაა: (მაგ: უძრავი ქონების განკარგვა, სესხებისა და კრედიტების აღება და ა.შ) გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 უმრავლესობით. ხოლო სხვა საკითხებზე გამგეობის

გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა უმრავლესობა არა არის დადგენილი.

6[1].9 კენჭისყრისას თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. გამგეობამ გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღოს სხდომის ჩატარების გარეშეც. ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილად ჩაითვლება, თუკი გადაწყვეტილებას ხელს აწერს გამგეობის ხუთი წევრი მაინც.

6[1].10 თუ გამგეობის წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამგეობის სხდომამდე 2 დღით ადრე წერილობით წარუდგინოს ამხანაგობის თავმჯდომარეს.

6[1].11 გამგეობის სხდომის დროს დგება ოქმი, სადაც აღინიშნება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მონაწილეები და დღის წესრიგის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები. გამგეობის სხდომის ოქმს ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე. ოქმი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ან გამგეობის გადაწყვეტილების შემთხვევაში.“

„მუხლი 13. ამხანაგობის წევრის წილის განკარგვა

13.1 ამხანაგობის დამფუძნებელი და შემდგომი წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით.

13.2 თითოეულ წევრს უფლება აქვს ამხანაგობის გამგეობის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით განკარგოს (გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს) თავისი წილი (წილის ნაწილი). წილის გასხვისება საჭიროებს ასევე სანოტარო წესით დამოწმებას.

13.3 ამხანაგობის წევრის მიერ წილის (წილის ნაწილის) გასხვისება უნდა მოხდეს მათ მიერ ამხანაგობის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან ერთად. წილის გასხვისებისას ხდება შემძენზე უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა და იგი არ გულისხმობს მატერიალური ქონების (მიწის ნაკვეთის, აშენებული ფართის, ნაგებობის) გადაცემას. წილის ნაწილობრივი გასხვისებისას შემძენზე შესაბამისი პროპორციით გადადის გამსხვისებლის ვალდებულებების ნაწილი. წილის (წილის ნაწილის) გასხვისება საჭიროებს ცვლილებების შეტანას ბინების განშლაში და “ამხანაგობის წევრთა ჟურნალში“.

13.4 ამხანაგობის წევრები წინამდებარე ხელშეკრულებით უარს აცხადებენ ერთმანეთის წილების შესყიდვის უპირატეს უფლებაზე.“

„15.2 მხარეთა შორის ნებისმიერი საკითხი წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით.“

„15.3 პუნქტი ამოღებული იქნეს.“

ხელმოწერები:

ამხანაგობის წევრები:

1. თამარ პაიკიძე
2. მერაბ თუთბერიძე
3. მარინა პაპავა
4. ველიკო ჩემია
5. ირინე ჭელიძე
6. მანანა ძველიშვილი
7. კონსტანტინე ბერიკელაშვილი
8. ლალი ზიბზიბაძე
9. რობიზონ ქარქაშაძე
10. მარგარიტა ბოტკოველი
11. წულაია ნინო
12. თაქთაქიშვილი ვახტანგი
13. ი. ბაგრატიონ მუხრანელი
14. ბადრი ჯიმშელეიშვილი

15. } [illegible]
16. }